ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

L.SAKVARELIDZE NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

Legal Entity of Public Law

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი, #99, ტელ: (+995-32) 116 001; ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; ვებ.გვერდი: www.ncdc.ge
99, Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia, Phone: (+995-32) 116 001; E-mail: ncdc@ncdc.ge; Web: www.ncdc.ge

დ ა ს კ ვ ნ ა

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანაგრიშზე

დამგეგმავი ორგანო: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინსფრასტრუქტურის სამინისტრო

შემსრულებელი საკონსულტაციო ორგანიზაცია: შპს "ბაუ დიზაინი"

სგშ-ს მომზადებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია: შპს გის და დისტანციური ზონდირების საკონსულტაციო ცენტრი ,,გეოგრაფიკი".

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პირველი დასკვნისთვის შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების განმეორებით ანგარიშის მომზადების პროცესში, კერძოდ თავი-8. გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების მასშტაბი და შემარბილებელი ღონისძიებები - ქვეთავების სახით ადამიანის ჯანმრთელობაზე და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება სტრატეგიულ დოკუმენტში განხილული საქმიანობის განხორციელების პროცესში. მოწოდებულია მნიშვნელოვანი ზემოქმედების განსაზღვრის მატრიცა, ცხრილების სახით ზემოქმედების შეფასება მშენებლობის ეტაპზე და მოწოდოებულია ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ასევე ზემოქმედების შეფასება ოპერირების ეტაპზე.

შემუშავებულია თავი 9. გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გეგმა-სტრატეგიული დოკუმენტის დანერგვით გარემოსა და ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების ან შერბილების ღონისძიებების მოკლე აღწერა, რომელიც წარმოდგენილია გარემოსდაცვითი მართვის გეგმის და გარემოსდაცვითი ღონისძიებათა პროგრამის ფორმატით. აღწერილია ღონისძიებები, რომლებიც ექვემდებარება რანჟირებას მაღალი, საშუალო და დაბალი პრიორიტეტულობის ქმედებებად ეკოლოგიური ეფექტურობის, განხორციელების დროს საინვესტიციო, საოპერაციო და არაპირდაპირი ხარჯების ხარისხობრივი შეფასების საფუძველზე, რაც დაგეგმვის საბოლოო ეტაპისთვის იქნება შესრულებული.

გარდა დოკუმენტის წინა ვერსიაზე მიღებული რეკომენდაციებისა გათვალისწინებულია და **დაგეგმილია შემდეგი ქმედებები:** შენობების ენერგოეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა (ენერგოეფექტური გამათბობლებისა და განათების სისტემები, სამშენებლო მასალები) სათბური გაზების ემისიის შემცირებასთან ერთად, აქვს ბევრი სხვა დადებითი შედეგიც, მათ შორის: დასაქმების გაზრდა სამშენებლო სექტორში, ტექნოლოგიების განვითარება და

ინოვაცია, ჰაერის, წყლის, მიწის დაბინძურების შემცირება, ადამიანის ჯანმრთელობისა და კომფორტის დონის გაზრდა, ენერგიაზე გადასახადების შემცირება და ა.შ.
მაქსიმალურად შეიზღუდოს მძიმე ტექნიკისა და სხვა ტრანსპორტის მოძრაობა ბალახით დაფარულ ტერიტორიაზე ეროზიის ახალი კერების ჩასახვის თავიდან აცილების მიზნით.

საკანალიზაციო ჩამდინარე წყლებით და ნარჩენებით დაბინძურება

გათვალისწინებულია და დაგეგმილია გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია/მშენებლობა და გამწმენდი ნაგებობით უზრუნველყოფა და გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ)

მდინარეების (არაგვი და მისი მარცხენა შენაკადები) წყლის მონიტორინგის პროგრამის შემუშავება, დანერგვა და მონაცემების გამოქვეყნება

გეგმის ინტეგრირება ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის გეგმებთან. ნარჩენების მართვის კოდექსის და „ტექნიკური რეგლამენტი-მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის #150 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

ასევე დაგეგმილია მაგისტრალური გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის უსაფრთხოების და ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების გადაუდებელი პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

წარმოდგენილ დოკუმენტში განხილულია ფიზიკური გარემოს რისკ-ფაქტორები და დაგეგმილია ქმედებები

- წყალი, ჰაერი, კლიმატური ფაქტორები, ადამიანის ჯანმრთელობა

სასმელი წყლის ხარისხთან არასათანადო ჰიგიენურ პირობებთან, არასათანადო სანიტარიასთან ასოცირებული დიარეით მიმდინარე დაავადებებისა და ეპიდაფეთქებების თავიდან აცილების მიზნით:

- სასმელი წყლის ხარისხის გაძლიერებული კონტროლი;
- დიარეით მიმდინარე დაავადებები, აღრიცხვა-კონტროლი;

როგორც სგშ-ს პირველ დოკუმენტში იყო მითითებული წყალაღების ადგილის შერჩევის შემდეგ მნიშვნელოვანია შემუშავდეს და დამტკიცდეს სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონები.
აღნიშნულია, რომ აიგება გამწმენდი ნაგებობები და მოხდება მდინარეების დაცვა დაბინძურებული საკანალიზაციო ჩამდინარე წყლებისგან. გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსის დაგეგმვა და გეგმის ამოქმედების მონიტორინგის ინდიკატორები არ არის დადგენილი. აუცილებელია შეირჩეს ყველაზე რელევანტური ღონისძიებები წყალმომარაგებისა და სანიტარიის გასაუმჯობესებლად გრძელვადიან პერსპექტივაში. სასურველია დაემატოს საკურორტო ადგილზე საზოგადოებრივი ტუალეტებით უზრუნველყოფა.
წარმოდგენილ დოკუმენტში აღწერილია გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განვითარების ჩარჩოში, როგორ მოხდება ტრანსპორტის ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირება.

- საკვლევი არეალის ავტოტრანსპორტის ნაკადისგან დაცვა;
- მწვანე საფარის სარეკრეაციო ზონების გაფართოება;

- სატრანსპორტო ნაკადის მართვა;
- სტიქიური მოვლენებისადმი მზადყოფნის გეგმის შემუშავება- წინასწარი შეტყობინების სისტემის ჩამოყალიბება;
- მოსახლეობის ცნობადობის გაზრდა აღნიშნულ საფრთხეებთან დაკავშირებით.

<u>წარმოადგენილ სგშ-ს დოკუმენტში მითითებულია, რომ გათვალისწინებულ იქნება ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურეობაზე</u> მათ შორის: დღევანდელი კოვიდ-19 პანდემიის პირობებში, პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად, და ასევე, ტურისტული სეზონის გააქტიურების პერიოდში ტერიტორიაზე თავმოყრილი დამსვენებლებისათვის საჭიროების შემთხვევაში ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევისათვის.

შშმპ ადაპტირებული გარემო

წარმოდგენილ ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მშენებლობისას გათვალისწინებულ იქნება შშმ პირების ინტერესები და უსაფრთხოება.

დასკვნა:

წარმოდგენილი მასალების მიხედვით გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანაგრიშში სათანადოდ არის შეფასებული ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ძირითადი რისკ-ფაქტორები, განხილულია და მოძიებული სათანადო მასალა და შემუშავებულია გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გეგმა.

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანაგრიში შესაძლებელია შეთანხმდეს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე